საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №15

ქ.თბილისი

14.12.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;
დიმიტრი ალავიძე - შპს ,,ვოლ ფაბლიშინგის" სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
იაგორ კალანდაძე - სს ,,ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
მადონა ჭეიშვილი - შპს ,,N5 კლინიკური საავადმყოფოს" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ნინო ჩიხლაძე;
ნატალია ბარათელი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

რიმა ბერიაშვილი - რექტორის მოადგილე;
ნინო კილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თინათინ ჩიქოვანი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
ია ავალიანი - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;
ბიძინა ზურაშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
გიორგი გიორგობიანი - უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი;
დავით თოფურია - უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
შალვა კელეპტრიშვილი - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მამუკა ხურციძე - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საინჟინრო გეოდეზიის დეპარტამენტის უფროსი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნოდარ პავლიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მიხეილ თოქმაზიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:15 სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1.სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამის ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის აღინიშნება მცირედი უზუსტობები, ამდენად სასურველია საგანმანათებლო პროგრამის ორივე ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ერთმანეთთან;
- სასურველია სრულ შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსების სილაბუსების ქართული და ინგლისური ვერსიები;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვოდეს კომპეტენციების მატრიცა;
- რადგან კვლევით კომპონენტი შესაძლებელია განხორციელდეს ემორის უნივერსიტეტში, ამიტომ გარდა ზოგადი ხასიათის ხელშეკრულებისა, რომელიც არსებობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტს შორის, სასურველია, ხელშეკრულებაში უფრო კონკრეტულად გაიწეროს ამერიკელი პარტნიორების პასუხისმგებლობა, მათ შორის კვლევებთან მიმართებაში;
- სასწავლო კურსებში, რომლებშიც სხვადასხვა საკითხების განხილვა ეფუძნება აშშ-ს ჯანდაცვის სისტემას (მაგ. სიკვდილიანობა აშშ-ში, აშშ-ს პრევენციული სისტემა და სხვა), მიზანშეწონილი იქნებოდა ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მონაცემების გამოყენებაც, რაც გარდა ადგილობრივი თავისებურებების გათალისწინებისა, შედარებითი ანალიზის საშუალებას მისცემდა პროფესორებსაც და სტუდენტებსაც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები მისაღებია, 2012 წლის 8-18 იანვარს ჩატარდება ორივე დაწესებულების წარმომადგენლების ერთობლივი სხდომა რომელზედაც განიხილება და პროგრამაში შეტანილი იქნება შესაბამისი რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს 12 წლიანი გამოცდილება ინგლისურ ენაზე სწავლებისა და ამ

პროგრამის განხორციელება დაეხმარება ქართული სტუდენტების დასაქმების ინტერნაციონალიზაციას.

საბჭოს წევრმა, იაგორ კალანდაძემ, დასვა შეკითხვა თუ რა სახის დიპლომი გაიცემა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევის კომპონენტი ჩატარდება საქართველოში, ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც მაღალ მოსწრებას დააფიქსირებენ, ამ კომპონენტს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაივლიან. კურსდამთავრებულებზე გაიცემა ქართული დიპლომი, დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაციით, ხოლო ერთობლივი დიპლომის გაცემა შესაძებელი იქნება ამერიკული მხარის მიერ აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამა 280 კრედიტის მოცულობით დასახული შედეგების მისაღწევად მოიცავს: ზოგადსაგანმანათლებლო, ფუნდამენტურ მეცნიერებათა, პრეკლინიკურ, კლინიკურ, სოციალური მეცნიერებების, არჩევით და პროფილურ სასწავლო კურსებს და საწარმოო პრაქტიკის მოდულებს. თუმცა მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო, ფუნდამენტურ მეცნიერებათა, პრეკლინიკური და კლინიკური ბლოკების მოცულობის და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის შემცირება;
- სასურველია სხვადასხვა კურსების სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების აღწერისას, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩანდეს განსხვავება გამოყენებულ მეთოდებს შორის.
- მიგვაჩნია, რომ მიღწეული შედეგების/კომპეტენციების სრულყოფილ აღწერას ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქის შემუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მითითებული კომპეტენციები იძლევა სურათს სტუდენტის სწავლის შედეგების შესახებ. სხვა რეკომენდაციებს დაწესებულება ეთანხმება და იზიარებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც თავდაპირველად ისაუბრა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე, კერძოდ მან აღნიშნა, რომ „საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის ბაკალავრს“ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული კვალიფიკაციის ფორმირების წესის (დანართი №5) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისგან ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ არ არის წინააღმდეგი ინჟინერიის მიმართულებაში დარგი/სპეციალობის გრაფაში საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დამატებაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შემდეგ ცვლილება ასახვას ჰპოვებს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაცია: -სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნას "საქართველოს გეოგრაფიის" სასწავლო კურსი;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ ეთანხმებიან რეკომენდაციას და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომისათვის გათვალისწინებული 15 კრედიტის 10 კრედიტამდე შემცირება, შესაბამისად, (5 კრედიტით) პრაქტიკის მოცულობის 10 კრედიტამდე გაზრდა;
- პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. სასურველია, შედგეს კონკრეტული პროგრამის ფინანსური გეგმა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ ეთანხმებიან რეკომენდაციას და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმის ბიზნესის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 19:20 საათზე.

ნინო ხოფერია

თავმჯდომარე

დიმიტრი ალავიძე

მდივანი